# 14 აპრილი – დედა ენის დღე




**დღეს, 14 აპრილს დედა ენის დღე აღინიშნება. ეს დღე 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა.**

1978 წლის 14 აპრილს თბილისში გამართულმა საპროტესტო გამოსვლამ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა და ხელი შეუშალა საბჭოთა ხელმძღვანელობას, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის შესახებ მუხლი გამქრალიყო.

დღეს საქართველო ეს თარიღი არაერთი ღონისძიებით აღნიშნეს. თბილისში, დედაენის ბაღში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა, კონცერტები, გამოფენები და და სხვ.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს შენობაზე 3D ინსტალაცია „ქართული ხელნაწერი“ მოეწყო. ინსტალაციით წარმოდგენილია ქართული ანბანური დამწერლობის სამივე სახეობა, ასევე უძველესი ხელნაწერები და ილუსტრაციები, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

გარდა ამისა, თავისუფლების მოედანზე განთავსებულია ეკრანები, სადაც ძველი ქართული ხელნაწერების სლაიდები ტრანსლირება მიმდინარეობდა.

14 აპრილს, ქართული ენის დღეს, „გუგლის“ ყველაზე მსხვილი სახელოვნებო პლატფორმა სივრცეს ქართულ ანბანს დაეთმო. დღეიდან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ვირტუალური გალერეა ქართული ანბანის შესახებ ისტორიას დასაბამიდან დღემდე მოჰყვება.